სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/208

ქ. თბილისი

1 დეკემბერი 2020 წ.

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" გაუქმებისა და აუდიტორიებში განთავსებული ვიდეო კამერების ფუნქციონირების შეჩერების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე 2020 წლის 1 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 სექტემბრის N312 დადგენილება "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების შესახებ" და ამავე დადგენილებით დამტკიცებული "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესი";
2. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტს დაევალოს პროფესორ-მასწავლებლების მიერ ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობის გაცდენა/ჩანაცვლების შემთხვევაში შესაბამისი ანაზღაურების დაკავების/გაცემის წესის შემუშავება და აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარმოდგენა, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 21 დეკემბრისა;
3. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით შეჩერდეს უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში განთავსებული ვიდეო-კამერების ფუნქციონირება;
4. აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტით მიღებული გადაწყვეტილება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**